

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/91

თბილისი

“ 9 “ დეკემბერი 2014 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსის ჩატარების წესის 1 მუხლის საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2014 წლის 18 დეკემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პროფესორის 6 (ექვსი) წლის და ასოცირებული პროფესორის 4 წლის ვადით დასაკავებლად კონკურსის შედეგების დამტკიცების დღიდან.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2015 წლის 20 იანვრიდან 2015 წლის 28 იანვრის ჩათვლით, ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 20 თებერვალს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2015 წლის 26 თებერვალს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 9 აკადემიური პერსონალი - 6 პროფესორი; 3 ასოცირებული პროფესორი.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ბიზნესის მართვის კათედრა:

1 პროფესორი

1 ასოცირებული პროფესორი

ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა:

1 პროფესორი

1 ასოცირებული პროფესორი

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის კათედრა:

1 პროფესორი

საჯარო სამართლის კათედრა:

1 პროფესორი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჟურნალისტიკის პროგრამული მიმართულება:

1 პროფესორი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა:

1 პროფესორი

1 ასოცირებული პროფესორი

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- მიმართულების განვითარების პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით (3-4 გვერდზე acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, acadnux. – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობასი საგრანტო პროექტებში მონაწილეობისდამადასტურებელი დოკუმენტი;
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებისდედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მისი ხელმძღვანელობით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები(საბაკალავრო, სამაგისტრო)

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.